Maia Nadare
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
PhD in Philology (International Journalism),
Founder and Director of BRAMS Institute,
Academician of Criminology at GACS

THE GEORGIAN SYMBOL OF WWII VICTORY

(Abstract)

KEYWORDS: WWII, Victory Banner, Meliton Kantaria, Georgia, Disinformation, Historical Memory

When Georgia regained her freedom in the 1990s, she was still forced to fight for keeping her independence from the northern neighbour. At that time, on 31 December 1993, The New York Times published a brief but significant obituary: "Meliton Kantaria, one of the two Red Army soldiers who raised the Soviet flag over the battered Reichstag in Berlin on April 30, 1945, died this week in Georgia. He was 74. The gesture of victory by Mr Kantaria and another soldier, Mikhail Yegorov, was immortalized in a documentary film seen worldwide. Mr Kantaria's death was reported on Tuesday by the Itar-Tass news agency. The report gave no information on survivors or his career after World War II".

Back then it was a completely unique occasion for a Georgian to be mentioned in an American daily newspaper with a worldwide readership. This could be properly appreciated only by the Georgians who lived through those years, dark and full of gunpowder smoke. Thirty years ago hardly anyone in the whole world knew Georgia the country. Moreover, no one cared about this small republic torn by battles around her borderline, and that she desperately aimed to gain a foothold in international politics. For the vast majority of the world population, this was just a tiny piece of land accidentally cut off from a former Soviet empire, lost between Russia and Turkey. The people have been frequently ripped off their national identity and called either 'Russians' or even worse, 'Soviets' – as if this adjective has ever had anything to do with ethnicity. In such reality for Georgia,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

the passing of our fellow citizen who has become the symbol of WWII was reported quite objectively in the United States.

A century has passed since Meliton, the son of Varlam Kantaria and Lydia Shonia, was born on 5 October 1920 in the village of Jvari (Tsalenjikha Municipality, Western Georgia). The 100th anniversary of the war hero could not be celebrated on a large scale as intended in Georgia, due to the coronavirus pandemic. However, the birthday of the outstanding warrior was still honoured by his country and countrymen as much as possible in the lockdown. Some people came to the statue of Meliton Kantaria in Kikvadze Park in the capital city of Georgia, while others gathered near the tomb of the hero on the territory of Public School No3 in Kantaria's native village. Despite a rainy day, both local officials and ordinary citizens arrived in a small garden at the campus to pay their respect to the memory of Meliton Kantaria. Although his story is quite well-known it seems appropriate to recall it once again because of his anniversary.

On the evening of 30 April 1945, the sound of gunfire and exposure could be heard all over Berlin while the final attempt to seize the Reichstag was at large. The situation resembled the last episode of the film "Father of a Soldier" (1964) by Georgian movie director Rezo Chkheidze: Storming through a two-story building, the Red Army soldiers fought their way to the roof, despite fierce resistance from Nazi Germans hiding in the corridors and chambers of the badly damaged building. Both in the film and in reality, the warriors aimed to reach the top.

Near midnight the banner-carriers broke the resistance of the ambushing enemy and, with the support of their comrades lead by lieutenant Alexei Berest, climbed to the roof of the Reichstag. Due to cross-fire, it was impossible to get close to the cupola. Thus, Yegorov agreed to the alternative offered by Kantaria and they attached the Soviet Flag to the statue of Kaiser Wilhelm II. During the counter-attack on 1 May, the Germans set the entire building to fire and either destroyed or removed most of the red flags raised earlier in different places of the building. However, about three hundred Soviet warriors stationed in the Reichstag did not retreat

against the thousand and the enemy could not reach the Victory Banner, which survived.

After the capitulation of the German garrison on 2 May, the regiment commander Fedor Zinchenko gave an order to Yegorov and Kantaria to re-hoist the Soviet Flag from the statue to the cupola. The construction of steel and glass was partially damaged as a result of the heavy shooting and artillery attack in previous days. The stairs leading to its top became useless. Two sergeants of the 3rd Shock Army Intelligence Corps bravely climbed the unreliable steel structure with shattered glass. If any of them slipped slightly, it would be a fall to death. Both were fit and agile, but Yegorov barely escaped death at one point. Perhaps the friends survived the Berlin climb due to Kantaria have had recited 'Jash Khvama', the Grace of a tree-climber, as a child. "The Victory Flag was flying at the highest point of the old German parliament, well-visible from all around", Colonel Zinchenko recalled years later.

The Victory Banner in WWII hoisted by Kantaria and Yegorov waved proudly over the Reichstag cupola for several days. The area of Berlin where the former building of the German Parliament stood was to become a British occupation zone according to the division agreement between the four Allied powers – Great Britain, France, the Soviet Union, and the United States. Therefore, the 3rd Shock Army had to change its dislocation. Obviously, the Victory Banner could not be left to the English. According to General Vasily Shatilov, on 12 May, Kantaria and Yegorov replaced the Victory Banner with a regular red flag, and the original was transported to Moscow on 20 June.

Neither the flag nor the Victory Banner-bearers took part in the victory parade at the Red Square on 24 June 1945. During the parade rehearsal, Marshal Zhukov noticed that two heroic soldiers were not properly trained in a military march while Captain Sergei Neustroev, who was appointed to carry the banner, could barely step on his wounded right leg. Georgy Zhukov considered only these three worthy to fly the flag at the victory parade, so a replacement was no option. To save the situation, the three heros watched the ceremony from the gallery.

The entire life of Meliton Kantaria was full of tragic events and difficulties. After completing four years of elementary school, the 11-year-old worked at a collective farm until 1940 when he was recruited for conscription in the Red Army. Then there were the four long years of war for him with numerous battles that resulted in three injures for Meliton. After been wounded while taking part in the liberation of Yegorov's native village, Kantaria started to call his brother-in-arms simply 'brother' – since his blood was spelt on his friend's ancestral land. After the war, Yegorov and Kantaria have been made the heroes of the Soviet Union and the authority offered them military careers. But the young men craved to go back to a civilian lifestyle despite no far-going prospects for them due to the lack of proper education.

Nevertheless, Meliton Kantaria's dream of peaceful life did not quite come true when the Georgian anti-Soviet movement in Abkhazia eventually grew into war in 1992-1993. A grenade hit his house during the battle and almost the entire photo archive as well as his military uniform and documentation were burned. Kantaria's orders and medals had been allegedly looted. Only a few old photos with the yellow tint survived.

As if the severe battles of WWII were not enough, Meliton Kantaria was upset by some scandal-mongers who questioned the heroism of the Victory Banner-bearers, their comrades, and even their superiors in the late 1980s when most of the main participants of the event were not even alive to speak for themselves. Fifteen years after Kantaria's death, following the example set by Russian President, soon-to-be Prime Minister Putin in 2008, the attack on the memory of the deceased legendary sergeants of the previous century spread once more. However, there has been another international recognition of Yegorov and Kantaria as the Victory Banner-bearers on 5 October 2020 when a concise English-language post was published on the official Facebook page of the Russian Embassy in the UK: "Today marks 100 years since Meliton Kantaria, a Georgian sergeant of the Soviet Army, was born. He is famous for being among the first to hoist the Soviet Victory Banner over Reichstag in 1945 together with sergeant Mikhail Yegorov".

Such objectivity is much appreciated, especially, while the foreign media frequently tries to hide the fact that Meliton Kantaria was a Georgian: Sometimes he is introduced as an ethnic Georgian living in Abkhazia, sometimes he is totally deprived of his national identity when called a 'Soviet', while in English translations, he is generally referred as a Russian. Meliton Kantaria, the Georgian hero of WWII, is the grandfather of 21-year-old Tamaz Ochigava, who defended the unity of Georgia within the 241st Battalion under commander Inalishvili during the War in Abkhazia, and at the cost of his own life, the young warrior helped the Georgian family of Sulakvelidzes to leave the battle line safely.

The exceptional fact is that an official photo of Meliton Kantaria in uniform has been accompanied with a relatively unknown photo of Yegorov and Kantaria posing with the Victory Banner for photo correspondent Alexei Morozov on 2 May 1945 and attached to the post by the Russian Embassy in the UK. Often, when the heroism of Yegorov and Kantaria is remembered, the text is linked to the Yevgeny Khaldei's iconic WWII photograph, which was set up for the camera and did not depict the Victory Banner-bearers but some volunteers who participated in photo shooting after the Battle of Berlin in April-May 1945. The same iconic picture has been used even for Meliton Kantaria's anniversary greeting card in 2020. Despite numerous inaccuracies or injustices, the truth is widely known.

There is an essential symbol in the biography of Meliton Kantaria: He was born in the independent and free Republic of Georgia at the very end of its existence and after 70 years, the Georgian hero lived to see – though not for long – the regaining of the independence of his homeland. This might explain the freedom-loving character of a Georgian who was very proud of his origins and national identity, described as a patriot by many contemporaries who knew him in person. He had a good sense of humour and carried love to mankind. A down-to-earth person he was, Meliton Kantaria only dreamt of peace on Earth, including his own country – a wish never granted.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მაია ნადარეიშვილი
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
კრიმინოლოგიის აკადემიკოსი (სკმა),
საერთაშორისო ჟურნალისტიკის დოქტორი (თსუ),
ბრამსის ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი

მსოფლიო გამარჯვების ქართველი სიმბოლო

საკვანძო სიტყვები: მეორე მსოფლიო ომი, გამარჯვების დროშა, მელიტონ ქანთარია, საქართველო, დეზინფორმაცია, ისტორიული მეხსიერება

1. საუკუნოვანი იუბილე

თავისუფლებადაბრუნებული საქართველო ძველებურად იბრძოდა ჩრდილოელი მეზობლისგან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, როდესაც 1993 წლის 31 დეკემბერს ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ლაკონიური, მაგრამ მნიშვნელოვანი ნეკროლოგი გამოქვეყნდა: „მიმდინარე კვირაში 74 წლის ასაკში საქართველოში გარდაიცვალა მელიტონ ქანთარია, რომელმაც 1945 წლის 30 აპრილს ბერლინში რაიხსტაგის თავზე აღმართა საბჭოთა დროშა. ის იყო წითელარმიელი ორი ჯარისკაციდან ერთ-ერთი. მიხეილ ეგოროვთან ერთად ბატონი ქანთარიას მიერ გამარჯვების სიმბოლოდ ქცეული ქმედება უკვდავყო დოკუმენტურმა ფილმმა,[41] მთელმა მსოფლიომ რომ იხილა. ბატონი ქანთარიას გარდაცვალების ამბავი საინფორმაციო სააგენტო „იტარ-ტასმა“ გაავრცელა სამშაბათს. შეტყობინება არ შეიცავდა რაიმე ინფორმაციას მემკვიდრეებისა თუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისი კარიერის შესახებ. წითელმა არმიამ ბერლინზე კონტროლი 2 მაისს დაამყარა და ფაშისტურ გერმანიაზე თავისი გამარჯვება 9 მაისს გამოაცხადა, მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ ევროპაში წინააღმდეგობის

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მოძრაობები ჩაახშო. გერმანელების ოფიციალური კაპიტულაცია კი წინა დღეს მოხდა“.[12]

მრავლისმეტყველია, რომ ქართველი მეომრის ნეკროლოგი ასეთი დონის ამერიკულ გამოცემაში გამოქვეყნდა. ჩაბნელებული და სროლის კვამლით სავსე 1990-იანების საქართველოს რეალობაში ეს იმდენად უნიკალური მოვლენა იყო, ქართველების მხოლოდ ის ნაწილი თუ შეძლებს სათანადოდ დააფასოს, ვინც გამოიარა იმდროინდელი სირთულეები. ფაქტობრივად, არ გვიცნობდა არავინ მთელ მსოფლიოში. არც ვინმეს ვაინტერესებდით. ამ დროს კი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების სიმბოლოდ ქცეული ჩვენი თანამემამულის იმქვეყნად წასვლა გააშუქეს აშშ-ში.

მთელი საუკუნე გავიდა, რაც 1920 წლის 5 ოქტომბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში ვარლამ ქანთარიასა და ლიდია შონიას ვაჟი, მელიტონი დაიბადა. ქართველი გმირის ასი წლისთავის მასშტაბურად აღნიშვნა პანდემიის გამო ვერ მოხერხდა. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის გამორჩეული მებრძოლის საიუბილეო ხსოვნას სამშობლომ და თანამემამულეებმა, შეძლებისდაგვარად, მაინც მიაგეს პატივი. ზოგი 2016 წლის 9 მაისს საქართველოს დედაქალაქში, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში (კიკვიძის ბაღი) გახსნილ მელიტონ ქანთარიას ბიუსტთან[1] მივიდა, ზოგიც გმირის სამუდამო განსასვენებელთან შეიკრიბა – ქანთარიას მშობლიური სოფლის მე-3 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე, სადაც 2015 წლის 9 მაისიდან სამამულო ომის გმირის ბიუსტი დგას. სკოლის ეზოში მოწყობილ პატარა სკვერში, წვიმის მიუხედავად, ოფიციალური პირებიც და რიგითი მოქალაქეებიც მივიდნენ მელიტონ ქანთარიას იუბილესთან დაკავშირებით.

ვფიქრობ, მართებული იქნება, თუ შევეცდებით მაქსიმალურად სრულად ავსახოთ ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლოდ ქცეული თანამემამულის უმთავრესი დამსახურება სამშობლოსა და მთელი მსოფლიოს წინაშე.

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

2. „შავ პიარში“ ჩაკარგული გმირობა

ყველაფერი „დიდი სიცრუით“ („მაინ კამპფის“ ავტორის ტერმინს თუ გამოვიყენებთ) დაიწყო 1945 წლის 30 აპრილს 14:20 საათზე „ჰიმლერის სახლში“. როდესაც პოლკის მეთაური ალექსეი პლეხოდანოვი გერმანელი სამხედრო ექიმების დაკითხვას აწარმოებდა თარჯიმნის საშუალებით, შემოსწრებულ პოლკოვნიკ ზინჩენკოს გაეხუმრა: „დაგასწარით, უკვე ვიყავით რაიხსტაგში და ორი გენერალიც ტყვედ ავიყვანეთ“.[39] ამ სცენის მომსწრე მიხეილ ბაისუროვი აღნიშნავს, რომ პლეხოდანოვმა მთელი ცხოვრება ვერ აპატია საკუთარ თავს ერთი შეხედვით უწყინარი ხუმრობა, რომელსაც სერიოზული ისტორიული შეცდომები მოჰყვა: მისი სიტყვების გამო, ზინჩენკომ დივიზიას აცნობა, რომ 756-ე პოლკმა 14:25 საათზე რაიხსტაგი აიღო და გამარჯვების დროშა აღმართა. შტაბის უფროსმა შეპასუხება გაუბედა პოლკოვნიკს: „ჩვენ ხომ ჯერ მოედანზეც ვერ გავსულვართ“,[39] მაგრამ სიტუაციის გარკვევა დაგვიანებული აღმოჩნდა. ცრუ ანგარიში დივიზიიდან უკვე კორპუსში, იქიდან არმიაში, ჟუკოვისა და სტალინის ყურამდე მისულიყო. ცხადია, რაიხსტაგის შტურმის უამრავი მონაწილე არსებობდა, ვინც საღამოს 6 საათამდე შენობაში შეღწევას კატეგორიულად უარყოფდა. როგორც ედუარდ ხილის ცნობილ სიმღერაში გონებამახვილურადაა აღნიშნული, „გენერლობას არაფერი სჯობს“.[28] საბოლოოდ, სხვათა უთავბოლო ტყუილმართალს შორის ორი უდანაშაულო სერჟანტის სახელს მიადგა ჩრდილი.

ბრძოლის ქარცეცხლს გადარჩენილი მელიტონ ქანთარიას სიცოცხლეშიც რამდენჯერმე სცადეს ერთეულებმა რაიხსტაგის მედროშეთა გმირობა საკამათო გაეხადათ, ხოლო მისი გარდაცვალებიდან 15 წლის თავზე პუტინის მიმბაძველობით, ტროლების ეპოქაშიც გაგრძელდა მედიათავდასხმა წინა საუკუნის ლეგენდადქცეული ადამიანების ხსოვნაზე.

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება, რასაც ნამდვილად არ მოველოდით: გაერთიანებულ სამეფოში რუსეთის საელჩოს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ლაკონიური, მაგრამ ორაზროვნებას მოკლებული ინგლისური ტექსტი გამოქვეყნდა 2020 წლის 5 ოქტომბერს: „დღეს 100 წლისთავია საბჭოთა ჯარის ქართველი სერჟანტის მელიტონ ქანთარიას დაბადებიდან. მან სახელი გაითქვა იმით, რომ 1945 წელს სერჟანტ მიხეილ ეგოროვთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა აღმართა რაიხსტაგზე საბჭოთა გამარჯვების დროშა“. დასაფასებელი მიუკერძოებლობაა იმის ფონზე, რომ რუსული მედიაწყაროები ხშირად ცდილობენ მელიტონ ქანთარიას ქართველობის დამალვას: ხან აფხაზეთში გადასახლებულ ეთნიკურ ქართველად, ხანაც ეროვნებაჩამორთმეულ „საბჭოელად“, ინგლისურენოვან თარგმანებში კი, საერთოდ, რუსად ჰყავთ ხოლმე გამოყვანილი ადამიანი, რომლის 21 წლის შვილიშვილი – თამაზ ოჩიგავა აფხაზეთის ომში საქართველოს მიწაწყალს იცავდა ინალიშვილის 241-ე ბატალიონის რიგებში და ტყვარჩელელი სულაქველიძეების ქართული ოჯახი სამშვიდობოს გაიყვანა ტყვიების ცეცხლიდან, საკუთარი სიცოცხლის ფასად.[4]

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დეტალი, რომ რუსეთის საელჩოს პოსტს ახლავს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მელიტონ ქანთარიას ცნობილი ოფიციალური ფოტო და რაიხსტაგის სახურავზე გამარჯვების დროშით ხელში ეგოროვ-ქანთარიასთვის ფოტოკორესპონდენტ ალექსეი მოროზოვის მიერ 2 მაისს გადაღებული, ხშირად იგნორირებული კადრი. როგორც წესი, მედიაგამოცემების უმეტესობა ამ გმირების ფოტოს ევგენი ხალდეის შედეგრით ჩაანაცვლებს ხოლმე, რომელზეც დროშაცა და მისი აღმმართველებიც ფოტოკორესპონდენტის მიერაა შერჩეული.

მიხეილ მინინისა და მისი ფსკოველი მხარდამჭერების უსაფუძვლო მტკიცებით, თურმე, ქანთარია-ეგოროვის გმირობა საბჭოთა გამონაგონი ყოფილა და სულ სხვა ხალხმა აიტანა დროშა რაიხსტაგზე, ამ ორს კი სტალი-

ნური მითითების გამო, პროპაგანდისტული მიზნებით 2 მაისს გადაუღეს ფოტო. ამ მტკნარი სიცრუის გამართლებას იმ ფაქტით ცდილობენ მავანნი, რომ მეორე მსოფლიო ომის საკულტოდ აღიარებულ ერთ-ერთ ფოტოსურათზე სულ სხვა ადამიანები არიან გამოსახულნი.[9] ჯერ-ჯერობით, ამაზე შორს ვერ წავიდა ნამდვილი გმირების, მელიტონ ქანთარიასა და მიხეილ ეგოროვის ხსოვნის გაფერმკრთალების მსურველთა ფანტაზია.

მედიაარქივი, გმირობის ორგანიზატორთა და მოწმეთა ჩვენებები, ჩვენს გვერდით მოკრძალებულად მცხოვრებ შთამომავალთა მოგონებები და სხვადასხვა დოკუმენტი თუ მოვლენა საშუალებას გვაძლევს წარსულის სრული სურათი წარმოვაჩინოთ აღნიშნულთან დაკავშირებით. სხვა თუ არაფერი, ეროვნული ღირსების საქმეა ჩვენი თანამემამულის ხსოვნის პატივისცემის მიჩქმალვას არ წავუყრუოთ. სამწუხაროდ, მრავალჯერ ნათქვამი სიცრუე ბოლოს სიმართლეს ემსგავსება და მასისთვის მისაღები ხდება ხოლმე. უსამართლობა იქნება, თუ დროს დავაცდით ასეთი შედეგის მოტანას. მაშინ გამოვა, რომ „სოფლის მაშენებლები“ მართლა მამალი და ძაღლი ყოფილან, რადგან თახვების ღვაწლი იგნორირებულია.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და ჭეშმარიტი თავისუფლების ერთ-ერთი მტკიცებულება სწორედ ის იქნება, თუ ჩვენი გმირების სახელის უკვდავყოფაზე მუდმივად ვიზრუნებთ. უკვე 30 წელიწადია აღარც ვინმეს კოლონია ვართ და არც იმდენად ხმისუფლებაწართმეულები, რომ საკუთარ ისტორიას წარსულის მტვერი არ მოვაცილოთ, არ გავიხსენოთ და ახალი სიძლიერით არ წარმოვაჩინოთ წინაპრების დამსახურება. ევროპა და ამერიკა არც რუსეთია, არც ჩვენთვის კარგად ნაცნობი სხვა დამპყრობელი, ენისა და კულტურის წაშლას, ისტორიის გაყალბება-მითვისებასა და ფიზიკურ განადგურებას რომ გვიპირებდა საუკუნეების განმავლობაში. პირიქით, გერმანია, ინგლისი, კანადა თუ ამერიკა ჩვენივე ხელით განადგურებულ[11] თუ უგულისყურობით მოუვლელ ჩვენს წინაპართა მემკვიდრეობაზე ზრუნვას ცდილობს. ახლა ის

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

უიშვიათესი ისტორიული მომენტია, როდესაც თავი ხელახლა შეგვიძლია გავაცნოთ სამყაროს, რომელზეც დადებით შთაბეჭდილებას ნამდვილად ვერ დატოვებს ერთმანეთს დატაკებული, ორადგახლეჩილი ქართველობა. უკვე აშკარაა, რომ მათ მხოლოდ ჩვენი ღირსებები ხიბლავთ, ჩრდილოელი მეზობლისგან განსხვავებით.

3. გამარჯვების დროშის ისტორია

30 აპრილის საღამოს მთელ ბერლინში სროლის ხმა ისმოდა. რაიხსტაგის შენობაზე ბოლო შტურმი ხორციელდებოდა. სიტუაცია ძალიან ჰგავდა რეჟისორ რეზო ჩხეიძის ფილმის „ჯარისკაცის მამა“ უკანასკნელ ეპიზოდს: ორსართულიან შენობაში შეჭრილი საბჭოთა მეომრები სროლით მიარღვევდნენ გზას სახურავისკენ, სხვადასხვა ოთახსა თუ კუთხეში მიმალული ფაშისტების გამწარებული წინააღმდეგობის მიუხედავად. კინოშიც და რეალობაშიც სახურავზე აღწევა ჰქონდათ მიზნად დასახული მოიერიშეებს.

1945 წლის აპრილის ბოლო ღამეს, მედროშეებმა ჩასაფრებული გერმანელების წინააღმდეგობა გაარღვიეს და თანამებრძოლების ხელშეწყობით, რაიხსტაგის სახურავზე ავიდნენ. ჯვარედინი ცეცხლის გამო, გუმბათთან მიახლოვება გამორიცხული იყო. ამიტომ ქანთარიას შემოთავაზებულ ალტერნატივას ეგოროვი დათანხმდა და მათ სსრკ სახელმწიფო დროშა ვილჰელმ მეორის ქანდაკებაზე დაამაგრეს. პირველი მაისის კონტრშეტევის დროს, გერმანელებმა მთელ შენობას ცეცხლი წაუკიდეს და წითელი დროშების უმეტესობის განადგურება ან ჩამოხსნა შეძლეს, თუმცა რაიხსტაგში განლაგებულმა სამასამდე საბჭოთა მეომარმა ათასის წინააღმდეგ უკან არ დაიხია და არც მტერი მიუშვა გამარჯვების დროშამდე.

რაიხსტაგის გერმანული გარნიზონის დანებების შემდეგ, 2 მაისის ნაშუადღევს პოლკის მეთაურ ფ.მ. ზინჩენკოს ბრძანების თანახმად, ეგოროვმა და ქანთარიამ გა-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მარჯვების დროშა გუმბათზე გადაიტანეს. სროლების შედეგად, შუშის ნაგებობა მთლიანად ჩატეხილი დახვდათ. მისი წვეროსკენ მიმავალი კიბეც ნაწილობრივ დანგრეულიყო. მზვერავები მინის ნამსხვრევებით სავსე, ძალზე არასაიმედო რკინის კონსტრუქციაზე აცოცდნენ. ფეხი ოდნავ რომ დასცდენოდათ, უეჭველად დაიღუპებოდნენ. ორივე სპორტული და მოქნილი იყო, მაგრამ ეგოროვი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. შესაძლოა, ბავშვობაში მრავალჯერ წარმოთქმულმა ქანთარიას ჯაშ ხვამამ ანუ ხეზე ამსვლელის სამარიამო ლოცვის მადლმა იხსნა მეგობრები ბერლინში.[2] მედროშეებმა წარმატებით გაართვეს თავი რთულ დავალებას. „გამარჯვების დროშა გერმანიის პარლამენტის უმაღლეს წერტილზე ფრიალებდა და კარგად მოჩანდა ყოველი მხრიდან“.[34]

წიგნში „მეორე მსოფლიო ომის ისტორია 1939-1945“ გამარჯვების დროშასთან დაკავშირებით ნათქვამია: „150-ე მსროლელთა დივიზიის 756-ე პოლკის მზვერავებმა მ.ა.ეგოროვმა და მ.ვ. ქანთარიამ ბატალიონის უფროსის, ლეინტენანტ ა.პ. ბერესტის მეთაურობითა და ი.ი. სიანოვის მეავტომატეთა ასეულის მხარდაჭერით აღმართეს იგი. ეს დროშა სიმბოლურად განასახიერებდა ყველა დროშასა და ალამს, რომელიც ყველაზე სასტიკი ბრძოლების დროს აღმართეს კაპიტან ვ.ნ. მაკოვის, ლეინტენანტ რ.კოშკარბაევის, მაიორ მ.მ. ბონდარისა და სხვათა მებრძოლებმა... ეს იყო მიღწეული გამარჯვების ტრიუმფი“.[27]

ეგოროვი-ქანთარიას მიერ აღმართული გამარჯვების დროშა სულ რამდენიმე დღე ფრიალებდა ამაყად რაიხსტაგის გუმბათზე. მოკავშირეებთან შეთანხმების თანახმად, ბერლინის ის რაიონი, სადაც ყოფილი პარლამენტის შენობა იდგა, ინგლისელების საოკუპაციო ზონა უნდა გამხდარიყო. შესაბამისად, მე-3 დამრტყმელ არმიას დისლოკაციის ადგილის შეცვლა უწევდა. ცხადია, გამარჯვების დროშას ინგლისელებს ვერ დაუტოვებდნენ. გენერალ შატილოვის ცნობით, 12 მაისს ეგოროვმა და ქანთარიამ გამარჯვების დროშა ჩვეულებრივი წითელი ბაირაღით ჩაანაცვლეს, ხოლო ორიგინალი 20 ივნისს მოსკოვში წაი-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ღეს. 24 ივნისს გამართულ გამარჯვების პარადში არც დროშას და არც მის მედროშეებს მონაწილეობა არ მიუღიათ. როგორც აღმოჩნდა, სამხედრო-საზეიმო მწყობრ სიარულს არ იყვნენ ნაჩვევი გმირი მეომრები, ხოლო მედროშედ გამწესებული ს.ა. ნეუსტროევი ჭრილობების გამო მარჯვენა ფეხს ოდნავ მიითრევდა. მარშალ ჟუკოვს დროშის აღლუმზე ჩამოტარების პატივის ღირსად მხოლოდ ეს სამეული მიაჩნდა, მაგრამ სათანადო ფორმაში არ იყვნენ.

ერთადერთხელ შეძლეს თანამებრძოლებმა მხარდამხარ პარადზე გავლა საამაყო გამარჯვების სიმბოლოსთან ერთად, 1965 წლის 9 მაისს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის გამარჯვების ოცი წლისთავი აღინიშნა.

1975 წლის 20 ივნისს 52 წლის მიხეილ ეგოროვი ავტოკატასტროფას ემსხვერპლა. უდროოდ წასული მთელმა ქვეყანამ დაიტირა. მელიტონ ქანთარიასგან განსხვავებით, მისი თანამებრძოლი ვერ მოესწრო საბჭოთა კავშირის დაშლას, რასაც მოჰყვა ისტორიის გადაწერის მცდელობა და დიდებული გამარჯვების სიმბოლოდ ქცეული წარსულის გმირების უსამართლოდ განქიქება, მათი დამსახურების დამცრობის მიზნით.

როდესაც გორბაჩოვის „გარდაქმნების“ ეპოქაში პირველად გამოჩნდნენ ცრუ-გმირები, ვინც, ვითომდა, გამარჯვების მთავარი დროშა აიტანა რაიხსტაგზე, მელიტონ ქანთარია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ასე უთქვამს: „მოვიდეს ის ვიღაც, ვინც ეს ტყუილი იკადრა. მოვიდეს, გმირის ვარსკვლავს მივცემ და დამშვიდდესო“.[5] თუნდაც ამ უბრალო, მართალ სიტყვებში ნათლად ჩანს ვაჟკაცის დამოკიდებულება უსამართლობასთან. ჭეშმარიტ გმირს არ სჭირდება მედალი ან სხვა რაიმე საბუთი, რადგან თავად სიმართლეა მისი საქციელის მოწმეცა და მტკიცებულებაც.

პირველობაზე პრეტენზია, ზოგადად, ნებისმიერ საბჭოთა მებრძოლს ჰქონდა რაიხსტაგის შტურმის დროსაც და მის შემდეგაც. ერთის პრეტენზიას მეორის დაემატა, ერთ შეცდომას მეორე მოჰყვა, ყურმოკრული ნახევარსი-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მართლის საფუძველზე ხალხმა მრავალნაირი ჭორი შექმნა და ეს ყველაფერი თანდათან გადაიზარდა მითში საბჭოურ შეთქმულებაზე. გმირობას წაპოტინებულები და მათი მხარდამჭერები პერიოდულად უმატებდნენ ახალ დეტალებსა და პრეტენზიებს უკვე შეთითხნილ სიცრუეს, რაც ნამდვილი გმირებისადმი უნდობლობას უზრდიდა საქმეში ჩაუხედავებს. სკანდალის ხარჯზე სტატიებისა და წიგნების იოლად გასაღების მსურველი ვაი-მკვლევრები[40] ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, რითიც პერიოდულად აღვივებდნენ ხალხის უსაფუძვლო ეჭვს. მოთავე სულ რამდენიმეა და, ალბათ, სასურველია მათი დაკონკრეტება, რომ იმ უსახო და უსახელო მასაში არ ჩაიკარგონ, რომელსაც თავს ახვევენ საკუთარ გამონაგონს.

ეგოროვსა და ქანთარიას გმირობადაც არ მიაჩნდათ ჩადენილი მამაცობა. ამას გახაზავს მათი მრავალი თანამედროვე. წლები დასჭირდა, რომ ათასობით ადამიანის პატივისცემისა და სიყვარულის შედეგად ერწმუნათ საკუთარი პოზიციის განსაკუთრებულობა. თუმცა, მერეც არასოდეს უსარგებლიათ სათავისოდ. არც ამაზე საუბარი უყვარდათ, რომ ტრაბახში არავის ჩამოერთმია. ღირსეული ადამიანი საკუთარ თავზე არასდროს ლაპარაკობს, მას სხვა აქებს. უღირსი ამას ვერ გაიგებს, რადგან თავად უწევს კვეხნით, დაუმსახურებლად გზის გაკაფვა და თავის დამკვიდრება.

3.1. ფიოდორ ზინჩენკო

30 აპრილის დილის ათი საათი ხდებოდა, როდესაც ზინჩენკომ პოლკის დაზვერვის ოფიცერს, კაპიტან კონდრაშოვს ორი მზვერავის შერჩევა დაავალა. მეთაურმა ეგოროვისა და ქანთარიას გვარები დაასახელა. „ყველა მზვერავმა თავის ორ მეგობარს მიაპყრო მზერა. მათ გამოხედვაში ეჭვის ნასახიც ვერ შევამჩნიე... კაპიტნის არჩევანს უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ“, იხსენებს ზინჩენკო.[17] პოლკოვნიკმა ორივე ფანჯარასთან მიიხმო, რაიხსტაგი დაანახა და დავალების არსი გააცნო. შემდეგ სახელმწი-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ფო დროშა №5 გადასცა და მეთაურის ტონი მეგობრულით შეცვალა: „ხომ გესმით, ამ წუთიდან უკვე უბრალოდ მზვერავები კი არა, მედროშეები ხართ. ჩვენი გამარჯვების მედროშენი! პოლკის, დივიზიის, არმიის ღირსება გაბარიათ!“[17]

17:50 საათზე გადამწყვეტი შეტევა დაიწყო 10-წუთიანი საარტილერიო ცეცხლით, რომელსაც ელვისებური შტურმი და რაიხსტაგში შეჭრა მოჰყვა. უმცროსი ლეინტენანტი ლებედევის ოცეულს სულ რამდენიმე წუთში პირველი შენაერთი სრული შემადგენლობით შეჰყვა შენობაში. ამ დროს პოლკოვნიკმა ბინოკლით დაინახა კონდრაშოვის მზვერავთა ჯგუფი როგორ გაიქცა რაიხსტაგისკენ, მათ შორის – ეგოროვი და ქანთარია გაშლილი დროშით.[18] როდესაც საპარადო შესასვლელით შენობაში მედროშე მზვერავები შეცვივდნენ, გრგვინვასავით გაისმა გუნდური „ვაშა“. ზინჩენკომ დაიცადა, სანამ შტურმის წარმატებას გაამყარებდნენ მეომრები. მხოლოდ მაშინ, როდესაც შენობაში უკვე ორი ბატალიონი შევიდა, გენერალ შატილოვს დაურეკა: „ჩვენები რაიხსტაგში არიან! სამხედრო საბჭოს დროშაც იქაა“.[19] როდესაც ზინჩენკო თავის შტაბთან ერთად მესამე რაიხის პარლამენტის შენობაში შევიდა, იგი გენერალმა შატილოვმა კომენდანტად დანიშნა და დაავალა: „გაწმინდეთ რაიხსტაგი მოწინააღმდეგისგან, სასწრაფოდ დაამაგრეთ არმიის სამხედრო საბჭოს დროშა გუმბათზე“.[20]

საღამოს 9 საათზე შატილოვმა მაიორი ბონდარი გაგზავნა რაიხსტაგში იმის დასაზუსტებლად, დროშას როდის იხილავდნენ აღმართულს. როგორც კი მივაღწევთ გუმბათამდე, იყო პასუხი. პირველი ოცეული კვლავაც ბრძოლით მიიკვლევდა გზას სახურავისკენ.[22] დღე იწურებოდა და კვამლს ღამის სიბნელეც ემატებოდა. სულ უფრო ჭირდა უცნობ შენობაში ორიენტირება. ამ დროისთვის წითელმა არმიამ რაიხსტაგის 500-მდე ოთახიდან 17-ის ბრძოლით დაკავება შეძლო.

სანამ დანარჩენები ქვედა სართულზე აკავებდნენ მტერს, პირველი ოცეული მეორე სართულზე ავარდა

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ბრძოლით. ყველა კარსა და გასასვლელს ესროდნენ, რომ დროშისთვის გზა გაეხსნათ. მათ კვალში მიჰყვებოდნენ ეგოროვი და ქანთარია. ამასობაში 30 გერმანელი მოკლეს, ხოლო 50 ტყვედ აიყვანეს. კუს ნაბიჯით მიიწევდნენ წინ დამარცხების შეგრძნებით გამწარებული მტრის ტყვიების წვიმაში. ლეინტენანტმა ალექსეი ბერესტმა გადაწყვიტა, მოწინააღმდეგისგან მეორე სართულის გაწმენდისთვის თავი დაენებებია და მთელი ძალისხმევა სხვენში ასვლაზე გადაეტანა.

ოთახებისა და კარების დაუსრულებელ ლაბირინთში, სხვენის ასასვლელს ვერ პოულობდნენ. მიხეილ რედკომ ზომით სხვებზე მომცრო, ჩაკეტილი კარი შეამჩნია. გამოქანებით შეანგრია და ოთახში შეკოტრიალდა. ამან უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა, რადგან ავტომატის ჯერი მიაყოლეს ზემოდან. დანახვა მოასწრო, სხვენში ასასვლელიდან რომ ესროლეს. გახარებული ისევ დერეფანში გამოვარდა და იყვირა: „ვიპოვე, აქეთ!“. სანამ მე-3 ოცეული თანამებრძოლებს აზღვევდა, დანარჩენები სხვენის დასალაშქრად გაემართნენ. მათთან იყვნენ ბერესტი, კონდრაშოვი, ეგოროვი და ქანთარია.[23]

ბუტილოვის ოცეულმა უწყვეტი ცეცხლი გაუხსნა სხვენის ჩაბნელებულ ხვრელს, საიდანაც გერმანელები ესროდნენ. ამგვარად მედროშეების ჯგუფს მიახლოვების საშუალება მიეცა. ჯარისკაცებმა ცოცხალი კიბე გააკეთეს, სახანძრო კიბის პირველ ზოლს მისწვდნენ, სხვენში ხელყუმბარები შეაგდეს და თან მიჰყვნენ. სახურავზე ასვლა შეფერხდა, რადგან სამალავებიდან ცეცხლს კარგა ხანს არ წყვეტდნენ გერმანელები, მაგრამ, ბოლოს, ტყვედ ჩაბარდნენ. მედროშეებს გუმბათისკენ გზა გაეხსნათ. თერთმეტი დაწყებულიყო.

„გაშლილი დროშით მიმავლები გერმანელებმა შეამჩნიეს ბრანდენბურგის კარიბჭიდან და რაიხსტაგის აღმოსავლეთ ფრთიდან. ისეთი ცეცხლი გაუხსნეს, წინ ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელი გახდა. უძვირფასესი წუთები იკარგებოდა“.[24] ქანთარიამ გუმბათის წინ ქანდაკება შენიშნა, საიდანაც დროშა მშვენივრად გამოჩნდებოდა

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მთელ პერიმეტრზე. იქამდე მისვლა სახიფათო, მაგრამ შესაძლებელი იყო. მტრის ტყვიები მათ გარშემო შეუჩერებლად წუოდა: ერთ-ერთმა დროშის ტარი დააზიანა, მეორემ ეგოროვს შარვალი გაუხვრიტა, მესამემ კი ქანთარიას პილოტკა-ქუდში გაიარა. თავგანწირული გმირობით გაიარეს უკანასკნელი მეტრები და დროშა დაამაგრეს. წარმატების ამბავი ლეინტენანტმა ბერესტმა პოლკოვნიკ ზინჩენკოს აცნობა, მან კი გენერალ შატილოვს ახარა.[25] რაიხსტაგზე აღმართულ ბაირაღს მტერიც მშვენივრად ხედავდა და მოყვარეც. ღამით ბრძოლა მინელდა. გერმანელების მოსალოდნელი თავდასხმისგან გამარჯვების დროშას პოლკის მზვერავები იცავდნენ კაპიტან კონდრაშოვის მეთაურობით.[26]

3.2. ვასილი უსტიუგოვი

საინტერესოა რაიხსტაგის შტურმის კიდევ ერთი მონაწილის, 1945 წლის გაზაფხულზე უმცროსი ლეინტენანტის, მოგვიანებით კი გენერალ-ლეინტენანტ ვ.ს. უსტიუგოვის ცნობა: „ღამის განმავლობაში გერმანელებმა ძალები მოაგროვეს ტიერგარტენთან[6] და 1 მაისს ჩვენი იზოლირება სცადეს ძირითადი ძალებისგან გზის მოჭრით. ისინი გუმბათზე ავიდნენ, ჩვენი დროშები ჩამოყარეს, ცეცხლი წაუკიდეს რაიხსტაგის მარცხენა ნაწილს და კვამლის საფარველქვეშ სურდათ ჩვენი უკან დახევა, მაგრამ გავუძელით“.[38] საფუძველი არ არსებობს ამ ცნობის სანდოობაში ეჭვის შეტანის. ის სიტყვები ხომ ისეთ იშვიათ მეომარს ეკუთვნის, რომელმაც პირველიდან უკანასკნელ წუთამდე მიიღო მონაწილეობა ბერლინის ბრძოლასა და რაიხსტაგის შტურმში, მაგრამ საკუთარი „ავტოგრაფი“ გადამწვარი შენობის კედელზე არ დაუტოვებია. ვასილი უსტიუგოვის თავშეკავებას აღფრთოვანებული ჰყვება ევგენი დოლმატოვსკი თავის წიგნში „გამარჯვების ავტოგრაფები“.[15]

უსტიუგოვი გვაწვდის კიდევ ერთ, დამატებით მტკიცებულებას, რატომ ითვლება ეგოროვი-ქანთარიას მიერ

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

აღმართული სახელმწიფო დროშა გამარჯვების სიმბოლოდ: იგი აღმართვის შემდეგ დიდი ბრძოლებით დაიცვეს და მტერს ხელში არ ჩაუგდეს. მინინის დროშა თვალით არავის უნახავს. მას არავინ იცავდა და ცეცხლმა დაწვა ან მტრის ხელმა მოსპო. ამიტომ, იგი გამარჯვების სიმბოლოდ ვერ გამოდგებოდა იმ შემთხვევაშიც კი, მაკოვის ხალხს სიტყვაზე თუ ვენდობოდით და მის არსებობას ბრმად ვირწმუნებდით.

3.3. სახელმწიფო დროშის სტატუსი

ცალკეულ სახელმწიფოში დამკვიდრებული ტრადიცია (მაგ., გაერთიანებული სამეფო) ან დროშის კოდექსი (მაგ., აშშ) განსაზღვრავს კონკრეტული დროშის სტატუსს, რის საფუძველზეც მას მინიჭებული აქვს ლეგალური მნიშვნელობა. გამარჯვების დროშასთან დაკავშირებულ შრომებში (ვ.ნ. საპრიკოვის მონორაფიის გამოკლებით) ეს ასპექტი იგნორირებულია და ყველა განხილულ დროშას უბრალოდ ფერით – „წითელი“ მოიხსენიებენ ავტორები. ამგვარი მცდარი მიდგომით, ისე გამოჰყავთ, თითქოს, ყველა დროშას ერთნაირი სტატუსი ჰქონდა, რაც სიმართლე არაა. ეგოროვმა და ქანთარიამ რაიხსტაგის სახურავზე სსრკ სახელმწიფო დროშა აღმართეს, რომლის უზენაესი მნიშვნელობა და პრიორიტეტული სტატუსი ჯერ კიდევ 1924 წელს დაკანონდა.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების თანახმად, „სსრკ სახელმწიფო დროშა საბჭოთა სახელმწიფოს, სსრკ-ის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სიმბოლოა“.[13] ასეთი ყოვლისმომცველი მნიშვნელობა სახელმწიფოს დროშას განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს და მისი ჩანაცვლება დაუშვებელია.

სახელმწიფო დროშა ქვეყნის მთელ ტერიტორიასა და მის მთლიან მოსახლეობას წარმოადგენს სიმბოლურად მაშინ, როცა ქვეყნის არმიის რომელიმე დანაყოფის სამხედრო დროშა კონკრეტულად ამ ნაწილის სიმბოლური გამოხატულებაა (მაგ., კორპუსის დროშა). გამარჯვე-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ბის დროშის შემთხვევაში, სახელმწიფო დროშა არა მხოლოდ წითელ არმიას გულისხმობდა, არამედ ზურგში დარჩენილ მოქალაქეებსაც, ფრონტის მხარდასაჭერად რომ თავს არ ზოგავდნენ.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას, 1942 წლის 21 დეკემბერს სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკანონა დროშის ახალი ნიმუში წითელი არმიის თითოეული ნაწილისათვის. შესაბამის ბატალიონებს, პოლკებს, დივიზიებსა და სამხედრო დაწესებულებებს მათი შექმნის მომენტში ურიგდებოდათ საკუთარი საბრძოლო დროშა, რომელზეც მითითებული იყო ნომერი და სამხედრო ნაწილის სახელწოდება. ეს სამხედრო დროშები არ წარმოადგენდა მთელ ქვეყანას, მთელ ერსა თუ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს მთლიანობაში. 79-ე კორპუსის ხელმძღვანელობის მიერ მაკოვის ჯგუფისთვის გადაცემული დროშა, თავისი შეზღუდული სტატუსის გამო, ვერანაირად ვერ გახდებოდა გამარჯვების დროშა: ფაშისტურ გერმანიას ცალკე ნეუსტროევის ბატალიონი კი არ ებრძოდა, ან ზინჩენკოს პოლკი თუ შატილოვისა და ნეგოდას დივიზიები. გამარჯვების დროშად მხოლოდ სახელმწიფო დროშა შეიძლებოდა გამხდარიყო. სწორედ ამიტომ კითხულობდა მის ბედს მარშალი ჟუკოვი გამუდმებით და ამიტომ ამოწმებდა გენერალი შატილოვი მაიორ ზინჩენკოსთან მთავარი დროშის ამბავს.

საკითხის საბოლოოდ გასარკვევად უნდა კიდევ ერთი დეტალიც დაზუსტდეს. ეგოროვმა და ქანთარიამ №5 დროშა დაამაგრეს რაიხსტაგის სახურავზე. ძალიან ცოტა ადამიანი აქცევს ყურადღებას, რატომ იყო იგი დანომრილი. მე-3 დამრტყმელი არმიის სამხედრო საბჭომ სპეციალურად დაამზადებინა სახელმწიფო დროშის ცხრა ასლი თითოეული დივიზიისთვის. მათგან ნებისმიერი, რომელიც ბერლინის აღების შემდეგ აფრიალდებოდა დამარცხებული რაიხსტაგის თავზე, გადაიქცეოდა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების სიმბოლოდ. მხოლოდ სამხედრო საბჭოს ჰქონდა კანონიერი უფლება სახელმწიფო დროშის ასლები დაემზადებინა და არმიის ნაწილებისთვის გადაე-

ცა. არცერთი დივიზიის ხელმძღვანელობას არ ჰქონდა ამისი გაკეთების უფლება, ზოგიერთი ჯარისკაცის პირად ამბიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

უფრო მეტიც, მინინის მიერ აღმართული ალამი 79-ე კორპუსის სამხედრო დროშაც ვერ იქნებოდა, რადგან იგი გადაეცა ორ, ერთნაირი მნიშვნელობის ჯგუფს: მაკოვისა და ბონდარის მოხალისეებს. გამორიცხული იყო სამხედრო ნაწილს დროშის ასლი ჰქონოდა, რადგან მათ მხოლოდ და მხოლოდ ერთი, ორიგინალი დროშა აქვთ ხოლმე. საპრიკოვის ვარაუდით, მინინის დროშა უბრალოდ წითელი ნაჭერი უნდა ყოფილიყო, ოფიციალური ემბლემის გარეშე. „ვისაც იგი მიაჩნია გამარჯვების დროშად, წითელ დროშად მოიხსენიებს“.[32]

ისტორიკოსი საჭიროდ მიიჩნევს განმარტოს თანამედროვე თაობისთვის, შესაძლოა, ნაკლებად ცნობილი ერთი ფაქტი: „რაც შეეხება წითელ დროშას რაიმე ემბლემის გარეშე, იგი სხვადასხვა კონტინენტის სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება როგორც მშრომელთა საკუთარი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლის სიმბოლო. იგი არავის დაუკანონებია ოფიციალურად და ტრადიციის გამო გადაიქცა მშომელთა, სოციალისტური მოძრაობის სიმბოლოდ. იგი არცერთ სახელმწიფოს, არცერთ ხალხს არ წარმოადგენს. შინაარსით, წითელი დროშა ინტერნაციონალურია მაშინ, როცა სახელმწიფო დროშა ინდივიდუალურია“.[33] მაგალითად, წითელ დროშაზე თეთრი ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის გამოსახვით თურქეთის სახელმწიფო დროშა მიიღება, ნამგალი და ურის შემთხვევაში – სსრკ-ის; შუაში მსხვილი თეთრი ჯვარი წითელ დროშას შვეიცარიის სახელმწიფო დროშად გადააქცევს მაშინ, როცა უფრო წვრილი და გვერდული თეთრი ჯვრით დანიის სახელმწიფო დროშა მიიღება.

ზინჩენკოს მოგონებებში საყურადღებოა ერთი ეპიზოდი: 21:00 საათი გადასულიყო, როდესაც 79-ე კორპუსის მეთაურის ადიუტანტი, მაიორი მ.მ. ბონდარი მივიდა მასთან და არმიის სამხედრო საბჭოს დროშა მოიკითხა.[21]

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ამ ეპიზოდიდან აშკარად ჩანს, რომ შტურმის მეორე ჯგუფის მეთაურმა, რომელმაც კიდევ ერთი წითელი დროშა მაკოვის მებრძოლების შემდეგ აიტანა რაიხსტაგზე, სახელმწიფო დროშის მნიშვნელობა იცოდა (მინინისგან განსხვავებით).

მეთაურთა უმეტესობას გააზრებული ჰქონდა, რომელი დროშა უნდა გამხდარიყო გამარჯვების და არც არასდროს გაუხდია სადავო ეგოროვისა და ქანთარიას მიერ ატანილი №5. ნეუსტროევი მოგონებებში იხსენებს: პოლკოვნიკი ზინჩენკო რაიხსტაგში მოვიდა და დროშა მოიკითხა. ნეუსტროევმა უპასუხა, რომ ბევრი დროშაა უკვე აღმართულიო, მაგრამ უკმაყოფილო ზინჩენკომ გააწყვეტინა: „იმას არ ამბობ, რაც საჭიროა... გეკითხები, სადაა არმიის სამხედრო საბჭოს მეხუთე დროშა?“.[29]

დაბოლოს, მაკოვის ხალხის გარდა, ერთი მოწმე ვერ გამოიძებნა, ვისაც მინინის დროშა თვალით ჰქონდა ნანახი. საპრიკოვი, რომელსაც მთელი გულითა და სულით სურს მინინის დროშის ვერსიის მხარდაჭერა, საფუძვლიანი კვლევა-ძიების შედეგად ასკვნის, რომ ეს დროშა „არ არსებობს, დაიღუპა. მისი არც ნახვაა შესაძლებელი, არც ზეიმებსა თუ სხვა ღონისძიებებზე გამოყენება, არც გამარჯვების დღესთან დაკავშირებით პარადზე გამოტანა. თუნდაც მხოლოდ ამიტომ, იგი არ შეიძლება გამარჯვების ბაირაღად ჩაითვალოს, თუმცა პირველი ის აღმართეს. თუ დროშის აღმართვის პირველობას მივიჩნევთ გადამწყვეტ ფაქტორად გამარჯვების ბაირაღის დადგენისას, ასეთად უნდა ვაღიაროთ პირველი, გამარჯვების აღმნიშვნელი და გადარჩენილი, განადგურებული კი არა...[30] გამარჯვების რანაირი დროშაა ის, რომელიც აღარ არსებობს, განადგურდა და ვერანაირად ვერ გამოხატავს გამარჯვებას. ის, რაც არ არსებობს, ვერაფრის სიმბოლოც ვერ იქნება“.[31]

ვასილი საპრიკოვი აღნიშნავს, რომ მისდა გასაოცრად, არცერთი გამოკვლევა თუ ოფიციალური დოკუმენტი არ ეხება მინინის დროშის საბოლოო ბედს და სწორედ ამ მიზეზით რჩება გაურკვეველი, რატომ იქცა ეგოროვი-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ქანთარიას დროშა გამარჯვების სიმბოლოდ. რა თქმა უნდა, ნახევარსიმართლე და უთავბოლო განცხადებები დაეჭვების საფუძველს იძლეოდა: თუ მაკოვის ხალხმა დაამაგრა პირველი დროშა, გამარჯვების სიმბოლოდ სხვა რატომ გადაიქცა. მასის დაბნეულობას აძლიერებს ის ფაქტორი, რომ სამხედრო სახელმძღვანელოებსა და ისტორიულ მონოგრაფიებში ხშირად ბუნდოვანი ან არაზუსტია ორ დროშასთან დაკავშირებული რეალობა.[14]

მცირე შეცდომასაც კი შეუძლია უზარმაზარი გაუგებრობა გამოიწვიოს. რადგან მემუარებისა თუ გამოკვლევათა ავტორების უმეტესობა დროშის სტატუსს არ ითვალისწინებს, ვერც ის გამოიკვეთა, რომელ დროშას შეეძლო გამარჯვების დროშად ქცეულიყო რაიხტაგის სახურავზე მოხვედრის შემთხვევაში. ეს ლაფსუსი ერთნაირად ახასიათებს როგორც ეგოროვი-ქანთარიას მხარდამჭერებს, ისე მათ მოწინააღმდეგეებს. დროშის სტატუსის გარჩევას ან ვერ ახერხებდნენ, ან მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ რიგითი ჯარისკაცები, სამხედრო ფოტოკორესპონდენტები და ხალხის უმრავლესობა. ასეთი უსამართლო მიდგომა ისტორიის გაყალბებას იწვევს, რასაც მრავალი მიუკერძოებელი ავტორი გახაზავს საკუთარ ნაშრომში.

4. „არიდეს გვიზამს ზიანსა“

უთუოდ მრავლისმეტყველია დაჯილდოვების დეტალები. მაკოვის „შესანიშნავი ხუთეული“, როგორც მათ გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ ჟურნალისტი უწოდებს, 1945 წლის 18 მაისს დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენით.[16] რადგან გამარჯვების დროშის აღმართვაზე პრეტენზიას ასამდე მეომარი აცხადებდა (გამონაკლისები ეგოროვი და ქანთარია იყვნენ, რომლებიც არც ფოტოს იღებდნენ, არც გმირობად მიაჩნდათ წინა ღამით შესრულებული სამხედრო დავალება და უძილობით გადაქანცულები რაიხსტაგის მიწისქვეშეთში ისვენებდნენ),[37] ხოლო

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მომდევნო დღეებში ასეთთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, ფაქტობრივად, საქმის ერთწლიანი გამოძიების შედეგად გადაწყდა ვინ და რა დამსახურებისთვის მიიღებდა რომელ ჯილდოს. ერთ-ერთი უკანასკნელები სწორედ ამიტომ აღმოჩნდნენ მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია. 1946 წლის 8 მაისს ხუთ მებრძოლს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება რაიხსტაგის აღების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის: მიხეილ ეგოროვს (1923-1975), მელიტონ ქანთარიას (1920-1993), სტეფანე ნეუსტროევს (1922-1998), ილია სიანოვს (1905-1988) და ფიოდორ ზინჩენკოს (1902-1991).[36]

რაიხსტაგზე აღმართული სახელმწიფო დროშა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების საყოველთაო სიმბოლოდ იქცა ორი მზვერავისგან დამოუკიდებლად. არასოდეს უტრაბახიათ ამით და არც არასოდეს დაუწუწუნიათ ომის შემდეგ რთული ყოველდღიურობის გამო, მიხეილ მინინისა თუ გრიგოლ ბულატოვისგან განსხვავებით. თუნდაც თავიანთი უბრალოებითა და სიკეთით, სხვების დამსახურების წინ წამოწევის მცდელობით დაამტკიცეს საკუთარი გმირობა. ეგოროვისა და ქანთარიას ღვაწლის განსაკუთრებული გააფთრებით უარმყოფელებიც კი ერთხმად აღნიშნავენ ამ ორი ჯარისკაცის თავმდაბლობასა და სამართლიანობას გამარჯვების დროშის ისტორიასთან დაკავშირებით.[35] თუმცა, ღირსეულთათვის დამახასიათებელ დუმილს მათ წინააღმდეგ მაინც იყენებს ზოგი.

ყველა ეპოქას თავისი ყვარყვარეები ჰყავს. პოლიკარპე კაკაბაძის შედევრი-პიესა სამყაროსავით ძველ პრობლემას ასახავს. სხვადასხვა ჯურის „თუთაბერების“ საქციელს მრავალჯერ უცდია ქართული გმირობის დამალვა, მითვისება ან მისი მნიშვნელობის დამცრობა. ცხადია, მედროვეთა მიზანი გაცილებით იოლი მისაღწევია და ენერგიაც მეტი რჩებათ სამავნეოდ, დამაშვრალი ქართველებისგან განსხვავებით. თურმე, არც ღვინო ყოფილა ქართული და არც კოლხი მეფის ასული მედეა – ქართველი; ჩვენებური ხინკალიც კინაღამ ჩინურად მოგვინათლეს; ჩურჩხელის გამოგონებას კი თანამედროვე

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

თურქები და სომხები „ვერ იყოფენ“. ასეთების არსებობა არც არავის უკვირს საქართველოში. საბედნიეროდ, ყვარ-ყვარიზმი დროებითი მოვლენაა. მედროვენი როგორც მოვ-ლენ, ისე წავლენ, ქართულ საკეთებელზე კი ჩვენი მცი-რერიცხოვანი ერი ძველებურად იზრუნებს. ალბათ, ამ მა-რადიულმა „თერგისეულმა რბოლამ“ გამოატარა 30 საუ-კუნის განმავლობაში, გადაარჩინა განადგურებას და ლა-ზარესავით მკვდრეთით აღადგინა არაერთხელ მტრისგან, თითქმის, მომსპარი ჩვენი ქვეყანა. საბედნიეროდ, აღარ ვართ ბედის ანაბარა, მარტო დარჩენილები. სანთელ-საკ-მეველი თავის გზას არ დაკარგავსო, ჩვენი ბრძენი წინაპ-რები ამბობდნენ და, იქნებ, ამიტომ იბრძვიან მსოფლიო მემკვიდრეობისთვის მნიშვნელოვანი ქართული წვლილის აღმოსაჩენად და დასაცავად გერმანელი, კანადელი, ამე-რიკელი თუ ბრიტანელი მეცნიერები XXI საუკუნეში.

ლიტერატურა ▫ References

1. გამარჯვების სიმბოლო – თბილისში მელიტონ ქანთარიას ბი-უსტი დაიდგა (11 მაისი, 2016), Sputnik Georgia.
2. მანია გვანჯი (12 მაისი, 2016), რაიხსტაგის გმირის საგვარეულო სალოცავი „დუდწიფურის“ თავგადასავალი, geworld.ge
3. პაპაშვილი შორენა (6 ივნისი, 2016), დიდი სამამულო ომის ქარ-თული კვალი, Dalma News (dlmn.info).
4. რიმა სულაქველიძის კომენტარი (12 ნოემბერი, 2017); იხ.: პაპას-კირი ლალი (11 ნოემბერი, 2017), „ერთ ოთახს ვითხოვ, საიდა-ნაც შვილის საფლავზე სიარულს შევძლებ“, გაზ. „კვირის პა-ლიტრა“.
5. სანებლიძე არმაზ (25 თებერვალი, 2015), მელიტონ ქანთარიას შვილი საბერძნეთში გაიხიზნა, geworld.ge
6. ტიერგარტენი (გერმ. Großer Tiergarten) – ბერლინის ყველაზე პო-პულარული ბაღი, რომელიც ამავე სახელწოდების მქონე უბან-ში მდებარეობს. იგი 1527 წელს დაარსდა სანადირო ტერიტორი-ის სტატუსით. ამჟამად, 210 ჰექტარს მოიცავს და გერმანიაში სიდიდით მესამე ადგილზეა, ბერლინის ტემპელჰოფერის პარკი-სა და მიუნხენის ინგლისური ბაღის შემდეგ.

7. ქანთარია ბექა (შემდგენელი) (2003), მელიტონ ქანთარია: გმირი მედროშე, თბილისი: გამომცემლობა „მოლოდინი“.
8. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი (2017), აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი. ISBN: 9789941098796
9. Cooper, Sarah (16 May 2017), *5 Most Iconic War Photographs of All Time*, War History Online.
10. Jahn, Peter (2005), *Triumph und Trauma: Sowjetische und Postsowjetische errinerung an der Krieg 1941-1945*, Berlink-Karlshorst: Ch. Links Verlag. ISBN 3-8615-3356-1 (ტრიუმფი და ტრავმა: 1941-1945 წლების ომის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მოგონებები, გერმანულ ენაზე).
11. McPhee, Sarah (21 April 2015), *Georgian environment, heritage at risk as RMG Gold exploits Sakdrisi*, Jackson School of International Studies (JSIS), University of Washington.
12. *Meliton Kantaria, Red Army Icon, 74* (31 December 1993), By The Associated Press, The New York Times, Section A, Page 24.
13. Ведомости Верховного Совета Союза Советских Социалистических Республик, 20 августа 1980, № 34, стр. 691-693.
14. Голованова Марина Петровна (2003), *Государственные символы России*, Москва: «Росмэн-Пресс», стр. 121.
15. Долматовский Е.А. (1972), *Автографы Победы*, Москва: изд-во «ДОСААФ».
16. *Егоров и Кантария были не первыми* (07 мая 2003), Еженедельник «Аргументы и Факты», #19.
17. Зинченко Ф. М. (1983), *Герои штурмуют Рейхстаг*, Москва: «Воениздат», стр. 136.
18. Зинченко Ф. М. Указ. соч., стр. 146.
19. Зинченко Ф. М. Указ. соч., стр. 147.
20. Зинченко Ф. М. Указ. соч., стр. 155-156.
21. Зинченко Ф. М. Указ. соч., стр. 157.
22. Зинченко Ф. М. Указ. соч., стр. 158.
23. Зинченко Ф. М. Указ. соч., стр. 160.
24. Зинченко Ф. М. Указ. соч., стр. 161-162.
25. Зинченко Ф. М. Указ. соч., стр. 162.
26. Зинченко Ф. М. Указ. соч., стр. 166.
27. *История второй мировой войны 1939-1945* (1979), том 10, Москва: «Воениздат», стр. 341.
28. *Как хорошо быть генералом*, Эдуард Хиль [*Source*: http://www.megalyrics.ru/lyric/eduard-khil/kak-khorosho-byt-ghienieralom.htm].
29. Неустроев С. А. (1997), *Русский солдат: на пути к Рейхстагу*, Краснодар: изд-во «Советская Кубань», стр. 150.
30. Ожегов С.И. (1987), *Словарь русского языка*, Изд. 18, стереотипное. Москва: «Русский язык», стр. 454; *Словарь современного русского*

литературного языка (1960), Том 10, Изд-во АН СССР, Москва-Ленинград, стр. 20.
31. Сапрыков В. Н. (2008), *Дважды победное*, Москва: «Московские учебники – СиДипресс», стр. 32.
32. Сапрыков В. Н. Указ. соч., стр. 37.
33. Сапрыков В. Н. Указ. соч., стр. 38-39.
34. Сапрыков В. Н. Указ. соч., стр. 41-42.
35. Сидоровский Лев (28 апреля 2007), *Кто водрузил знамя победы?*, газ. «Невское время».
36. Стариков Евгений (9 мая 2015), *Знамён над рейхстагом было много, но историей стало одно*, газ. «Наша Победа», #8.
37. Субботин В. Е. (1968), *Как кончаются войны*, Москва: «Воениздат».
38. Устюгов В.С. (6 мая 2006), *Как поднимали Знамя Победы...*, газ. «Советская Россия», #51-52 (12826), стр. 3.
39. Эскин Борис (31 мая 2015), *Здравствуй, комбат!*, Главы из документальной повести «Знамя над Рейхстагом», «Кстати», #1044 [*Source*: https://kstati.net/zdravstvuj-kombat-2].
40. Ямской Н.П. (2006), *Кто Брал Рейхстаг. Герои по умолчанию...*, Глава 5: Герои по умолчанию (стр. 237-261), Москва: изд-во «ОЛМА-ПРЕСС». ISBN 5-224-05553-9
41. *Flag Bearers of the Victory (People-Legend)* (1985, black and white documentary #9070, director – I. Gutman) [Source: https://www.net-film.ru/en/film-9070/]. The short documentary tells the story of two sergeants of the Red Army, Mikhail Yegorov and Meliton Kantaria, who raised the Victory Banner on the Reichstag in 1945.